მცირე და საშუალო ბიზნესში ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბ. ჯოხარიძე

25.05.2022

აბსტრაქტი

დასახული მიზნის „მცირე და საშუალო ბიზნესში ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში“ მიღწევა ნაშრომში რეალიზებულია შემდეგი ამოცანების შესრულებით: ინოვაციების ფორმირებისა და რეგულირების სფეროში ძირითადი ცნებების არსის თეორიული ანალიზი; ინოვაციების ეფექტურობის შეფასების არსებული მეთოდების სისტემატიზაცია ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში მათი გამოყენების გათვალისწინებით. რომლებიც ეყრდნობა საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებს, მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს, პერიოდული გამოცემებსა და სხვა საინფორმაციო რესურსებში არსებულ სამეცნიერო ნაშრომებს. ასევე, ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სხვადასხვა დარგის მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების დანერგვის მენეჯმენტის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. კონკრეტულად ანკეტირების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნახევრად დახურულ კითხვარს, სადაც რესპონდენტებს საშუალება მიეცემათ გამოხატონ საკუთარი პოზიცია, რის შედეგად მოხდა მათი აზრების დაფიქსირება-რეგისტრაცია და თეორიული ინტერპრეტაცია. კვლევამ მოიცვა მცირე და საშუალოს ზომის 14 ორგანიზაცია სხვადასხვა დარგიდან.

კვლევამ გამოავლინა, რომ ძირითადი პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება მცირე ბიზნესში, პირდაპირ ვლინდება: საკუთარი სახსრების ნაკლებობაში; სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის სიმცირეში; დაბალ მოთხოვნაში ინოვაციურ საქონელსა და მომსახურებაზე; ინოვაციის მაღალ ღირებულებაში; კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობაში.

Abstract

Achievement of the set goal «use of technological innovations in small and medium business and prospects for its implementation in Georgia» is realized in the work by performing the following tasks: theoretical analysis of the essence of the main concepts in the field of formation and regulation of innovations; Systematization of existing methods for evaluating the efficiency of innovations with consideration of their use in separate sectors of the economy. which are based on normative-legal documents, methodological manuals, scientific works, placed in periodicals and other information resources. Also, when working on the article, quantitative methods of research of the modern state of innovation management at small and medium-sized enterprises in various fields of activity were used. A concrete method of polling, which involves a semi-closed questionnaire, where the respondents will be given the opportunity to express their position, as a result of which their thoughts were recorded, registered and theoretically understood. 14 small and medium-sized organizations from various industries were included in the study. Research has revealed that the main problems that arise in small business are directly manifested in: lack of own funds; при оченься финансовной подробнее со страны говорства; in low demand for innovative products and services; in high cost innovations; There is a shortage of qualified workers.